დანართი №6



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაკა მამფორია
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრი: ნათელა ბასილია
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	226152533

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა
ფაქტობრივი მისამართი	ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დაბა ახალდაბა
საფოსტო ინდექსი	1200
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/44fYwJ4
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	borAkhaldaba@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №1626748 17/11/2025 წელი
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	15, 16 დეკემბერი, 2025 წელი

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 11 დეკემბერს გამართულ ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე სკოლას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N1696971). საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის ნოემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.
გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან, საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
350	**190**

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი სათემო ცხოვრებაში, მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და პრაქტიკულ ინიციატივებში, რაც აძლიერებს მათ სამოქალაქო ცნობიერებას, სოციალური პასუხისმგებლობის გრძნობასა და აქტიური მოქალაქის კომპეტენციებს. თემთან პარტნიორობის ფარგლებში მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა ჩაერთონ პროფორიენტაციისა და სახელობო საქმიანობის პრაქტიკულ აქტივობებში, მათ შორის თექისგან სხვადასხვა პროდუქციის დამზადებაში, რაც ხელს უწყობს შრომითი უნარების განვითარებას და კარიერული არჩევანის გააზრებას. მოსწავლეთა უკუკავშირის მიხედვით, სკოლაში გამოკვეთილია თანამშრომლობაზე დაფუძნებული კულტურა, ეფექტური კომუნიკაცია, ურთიერთნდობა და პოზიტიური სასწავლო გარემო. მოსწავლეები განსაკუთრებულად აღნიშნავენ მასწავლებლებთან და თანასკოლელებთან კონსტრუქციულ ურთიერთობებს, რაც ზრდის მათ მოტივაციას, ჩართულობას და უსაფრთხოების განცდას სასკოლო სივრცეში. აღნიშნული პრაქტიკა წარმოადგენს სკოლის ძლიერ მხარეს, რადგან უზრუნველყოფს სკოლის, თემისა და ადგილობრივი სტრუქტურების ეფექტურ პარტნიორობას, ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, სოციალურ და სამოქალაქო განვითარებას და სრულად შეესაბამება ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრულ ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებს.

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

2026 წლის 29 იანვარს N1 25 0001717463 კორესპონდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად იქნა გაზიარებული. ინდიკატორი 1.2.1.1.-თან მიმართებით დაწესებულებამ წარმოადგინა შესრულების მტკიცებულება და ინდიკატორი გადავიდა სრულ შესაბამისობაში, ინდიკატორები 1.2.1.2; 1.2.1.4; 3.2.1.2 და 3.4.1.1. გადავიდა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორები და 3.2.2.4. და 3.5.1.4 ნაწილობრივ შესაბამისობაში. აქედან გამომდინარე კომპონენტები: 1.2., 3.2. და 3.4. მეტწილად შესაბამისია, ხოლო კომპონენტები 3.1. და 3.5. ნაწილობრივ შესაბამისია.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☒ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1	☐ შეესაბამება

პერსონალის მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.		
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*
ინდიკატორი N....		

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2026), სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერები და სკოლის რეალურად მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიყვანოს ურთიერთშესაბამისობაში, მათ შორის: სტრატეგიული მიზნების რაოდენობის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით ან მეთოდოლოგიური დოკუმენტის გადახედვა, არსებული სტრატეგიული მიზნების რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სტრატეგიულ გეგმაში მიზნების შესაბამისი ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრისა და მათი აქტივობებად დიფერენცირების უზრუნველყოფით.*
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2026),* სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური), რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*

ინდიკატორი N.3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2027), უზრუნველყოს სკოლის პერსონალის დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.*
ინდიკატორი N.3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2026), უზრუნველყოს პერსონალის განვითარება სტრუქტურურებულად, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტ მიერ გაცემული წერილობითი დასტური	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2026), უზრუნველყოს:* • *შენობა-ნაგებობის მდგრადობის შესახებ დასკვნების მოპოვება;* • *შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვება. (იხ. ინდიკატორის აღწერა)*
ინდიკატორი N.3.5.1.4.	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2027), უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული სველი წერტილისა და შიდა ლიფტის ან პანდუსის მოწყობა.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.1.1.1.	სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს	სასურველია, სკოლის ფილოსოფიის გადახედვა (რევიზია) და მისი შესაბამისობის შეფასება მოქმედ კანონმდებლობასთან, მათ შორის 2024 წლის 12 ივლისს დამტკიცებულ ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან, რათა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სრულ თანხვედრაში იყოს განახლებულ ეროვნულ საგანმანათლებლო პრიორიტეტებთან.
ინდიკატორი N.1.1.1.6.	სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს	სკოლას მიეცა რჩევა, მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო სკოლის სახელწოდებისა და სტატუსის გათვალისწინებით.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.

	ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური	
ინდიკატორი N.3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის დერეფანში განათავსოს წყლის დისპენსერი, რათა ფორსმაჟორულ სიტუაციაში უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეებისთვის სასმელი წყლის მიწოდება.
ინდიკატორი N.3.5.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლას მიეცა რჩევა, განაახლოს საჯარო რეესტრის ამონაწერი სკოლის ზუსტი სახელწოდებისა და მისამართის გათვალისწინებით. *(იხ. ინდიკატორის აღწერა)*
სტანდარტი N4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღება სტრუქტურირებული ფორმით, მაგალითად, კითხვარი ან/და ინტერვიუ/ფოკუსჯგუფი და სხვა.
ინდიკატორი N.4.2.4.1.	სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობი შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.	სკოლას მიეცა რჩევა, მოსწავლეებს შესთავაზოს ტრანსპორტით მომსახურეობა ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამის ფარგლებში.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N 3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერ**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**

ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	- სკოლამ უზრუნველყოს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის ორგანოსთან შესაბამისობის	შესრულებულია
		- სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ	არ არის შესრულებული
		სკოლამ უზრუნველყოს აკრედიტირებული ორგანოს მიერ გაცემული დასკვნის მოპოვება შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ	არ არის შესრულებული
		-სკოლამ უზრუნველყოს სრული რეაბილიტაცია სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს კეთილმოწყობა (პანდუსი, ადაპტირებული სველი წერტილი)	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება	შესრულებულია

ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლამ უზრუნველყოს ვებგვერდის ფუნქციონირება	შესრულებულია

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**
2. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის ფილოსოფია, რომელიც მოიცავს მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დოკუმენტი განსაზღვრავს სკოლის საგანმანათლებლო ორიენტირებს და მიმართულია მოსწავლეთა ინტელექტუალური, ფიზიკური, სულიერი და სოციალურ-ემოციური განვითარების მხარდაჭერისკენ, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარების ჩამოყალიბებისკენ, კანონმორჩილი, ტოლერანტი და აქტიური მოქალაქეების აღზრდისკენ. სკოლის მისია და ხედვა არსობრივად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ვინაიდან ფოკუსირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე, სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაძლიერებაზე, ჯანმრთელი ცხოვრების წესის მხარდაჭერაზე, თანამედროვე სწავლა-სწავლების პრინციპების გამოყენებასა და საზოგადოების სრულფასოვან წევრად ჩამოყალიბებაზე. სკოლის თითოეული თანამშრომელი ინდივიდუალური მიდგომით, სწავლა-სწავლების თანამედროვე პრინციპის გამოყენებით ზრუნავს აღზარდოს მოსწავლე, რომელნიც თავის წვლილს შეიტანენ ქვეყნის მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაში.

   ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

   სკოლა ქმნის უსაფრთხო, ტოლერანტულ და ინკლუზიურ სოციო-კულტურულ გარემოს, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ინტელექტუალურ, ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ განვითარებას. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობა ორიენტირებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებაზე, დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებაზე და პასუხისმგებელი, კანონმორჩილი და აქტიური

მოქალაქეების აღზრდაზე. სკოლის თანამშრომლები სწავლა-სწავლების თანამედროვე პრინციპების გამოყენებით ზრუნავენ მოსწავლეთა კეთილდღეობაზე და მათ საზოგადოებაში სრულფასოვან ინტეგრაციაზე.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის ფილოსოფია მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. წარმოდგენილია სკოლის დირექტორის ბრძანება N88 (06.10.2023 წელი) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. ჯგუფის შემადგენლობა წარმომადგენლობითია - დირექტორი, ადმინისტრაცია, კათედრები, მასწავლებლები, მშობელი, თვითმმართველობა. სკოლამ ასევე წარმოადგინა პედსაბჭოს ოქმი, სადაც განხილული და დამტკიცებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. აღნიშნულიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლის ფილოსოფია შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

ინდიკატორი 1.1.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის პროექტი დაწესებულებამ გააზიარა სასკოლო საზოგადოებასთან: მშობლებთან დამრიგებლების მეშვეობით, პედაგოგებთან - პედაგოგიურ და სამეურვეო საბჭოს სხდომებზე. ატვირთა სკოლის ვებ გვერდზე. სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტის გაზიარება განხორციელდა მეთოდოლოგიის დოკუმენტის შესაბამისად.

ინდიკატორი 1.1.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გამოკრულია სკოლის დერეფანში, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე და შესაბამისად ხელმისაწვდომია როგორც სასკოლო საზოგადოებისათვის, ასევე ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

სკოლის სახელწოდება „სსიპ - ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა“ შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს „სკოლა“, თუმცა საჯარო რეესტრის ამონაწერში სახელწოდება ფიქსირდება განსხვავებულად - სსიპ ,,ახალდაბის საჯარო სკოლა“. **სკოლას მიეცა რჩევა, მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო სკოლის სახელწოდებისა და სტატუსის გათვალისწინებით.**

ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები;*
- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარებისა მეთოდოლოგია;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება N88 06.09.2023*
- *პედაგოგიური საბჭოს ოქმი N2 01.10.2023*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**
   სკოლამ წარმოადგინა 2023 წელს შემუშავებული სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს როგორც სკოლის ფილოსოფიის, ასევე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შემუშავების პროცესში. მეთოდოლოგიის დოკუმენტში განსაზღვრულია სასკოლო საზოგადოებიდან ინფორმაციის მოპოვების საკომუნიკაციო არხები და გაზიარების სქემა, თუმცა სკოლამ არ/ვერ წარმოადგინა მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება.

   დაწესებულებამ, არგუკმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება. დაწესებულების პოზიცია და შესრულების მტკიცებულებები გაზიარებული იქნა ექსპერტების მიერ.
   ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**
   სკოლამ წარმოადგინა 2023–2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც არის შვიდწლიანი, ციკლური დოკუმენტი და ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას - მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. სტრატეგიული გეგმა ასახავს სკოლის მისიასთან თავსებად სტრატეგიულ მიზნებს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს. ამასთან, დოკუმენტის შინაარსობრივ ანალიზში გამოვლინდა სტრუქტურული შეუსაბამობა: სტრატეგიულ გეგმაში მიზნების შესაბამისი ამოცანები არ არის მკაფიოდ ფორმულირებული, ხოლო ამოცანების ნაცვლად წარმოდგენილია აქტივობების ჩამონათვალი, რაც არ შეესაბამება სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიურ

ლოგიკას, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული მიზნები უნდა იშლებოდეს ამოცანებად, ხოლო ამოცანები - შესაბამის აქტივობებად. ასევე დადგინდა მეთოდოლოგიურ დოკუმენტსა და სტრატეგიულ გეგმას შორის რაოდენობრივი შეუსაბამობა: სკოლის მიერ დამტკიცებულ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში მითითებულია, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა უნდა მოიცავდეს 5 სტრატეგიულ მიზანს, მაშინ როდესაც წარმოდგენილ სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულია 10 სტრატეგიული მიზანი.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, სამუშაო ჯგუფის შექმნას, სტრატეგიული გეგმის გადახედვას, შემუშავებასა და დამტკიცებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2026),* ***სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში არსებული ჩანაწერები და სკოლის რეალურად მოქმედი სტრატეგიული განვითარების გეგმა მოიყვანოს ურთიერთშესაბამისობაში, მათ შორის: სტრატეგიული მიზნების რაოდენობის მეთოდოლოგიურ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის გზით ან მეთოდოლოგიური დოკუმენტის გადახედვა, არსებული სტრატეგიული მიზნების რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე სტრატეგიულ გეგმაში მიზნების შესაბამისი ამოცანების მკაფიოდ განსაზღვრისა და მათი აქტივობებად დიფერენცირების უზრუნველყოფით.***

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას

სკოლამ წარმოადგინა 2025-2026 წლის ერთწლიან სამოქმედო გეგმა, რომელიც შესაბამისობაშია სტრატეგიულ მიზნებთან. სკოლის შემუშავებული მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით სტრატეგიული გეგმიდან და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებიდან (SWOT ანალიზი) გამომდინარე იქმნება სამოქმედო გეგმა. სკოლის ვებ გვერდზე ატვირთულია 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, რომელზე დაყრდნობითაც შემუშავდა წარმოდგენილი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია

სკოლამ წარმოდგენილი ერთწლიანი 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელშიც სტრატეგიული მიზნების შესაბამისად გაწერილია აქტივობები, პასუხუსმგებელი პირები და ვადები, თუმცა გეგმის სტრუქტურა არ შეესაბამება ინდიკატორის მოთხოვნას, კერძოდ, სამოქმედო გეგმაში არ არის განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, მხოლოდ აქტივობებია მოცემული, არ არის აღწერილი შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, სამოქმედო გეგმის გადახედვას, ცვლილებების შეტანას და დამტკიცებას გეგმავს 2026 წლის სექტემბრამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2026),* **სამოქმედო გეგმაში განსაზღვროს სტრატეგიული მიზნების შესაბამისი ამოცანები, ამ ამოცანების შესაბამისი აქტივობები, აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და შესაბამისი რესურსები (ადამიანური, მატერიალური და ფინანსური), რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *სტრატეგიული გეგმა 2023-2030;*
- *სამოქმედო გეგმა 2025-2026;*
- *პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5 08.09.2025;*

- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #4 11.09.2023*;
- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის დამტკიცების ბრძანება #143. 16/12/2025;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;*
- *სკოლის ვებ გვერდი:* https://bit.ly/44fYwJ4

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტი ითვალისწინებს, სტრატეგიული გეგმის მონიტორინგსა და შეფასებას სტრატეგიული გეგმის მოქმედების პერიოდში ორჯერ, მისი განხორციელების შუაში და ბოლოს.

სამოქმედო გეგმის მონიტორინგისთვის სკოლა იყენებს ანგარიშების წარმოდგენის მეთოდს. იანვარსა და ივნისში. სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ნიშნავს მონაცემების შეგროვებას სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ამოცანებისა და აქტივობების შესრულების სტატუსთან დაკავშირებით, ასევე მოიცავს შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენას. შეფასება ნიშნავს შეგროვებული მონაცემების გაანალიზებას და შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარესთან წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ და შესაბამის მტკიცებულებებს. მონიტორინგის პროცესის დასრულების შემდეგ იწყება შეფასების პროცესი. მონიტორინგის ფარგლებში შეგროვებული ანგარიშები გასაანალიზებლად გადაეცემა სამუშაო ჯგუფს, რომელიც შინაარსობრივად სწავლობს შეგროვებულ ინფორმაციას და წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს. სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნულ ანგარიშებზე დაყრდნობით, დირექტორის სახელზე წარადგენს წერილს სამოქმედო/სტრატეგიულ გეგმაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ცვლილებების პროცესი მიმდინარეობს ამ წესის მე-11 მუხლის შესაბამისად. წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის/ორი წლის ბოლოს სტრატეგიული გეგმის შესრულების შედეგები

ფორმდება ანგარიშის სახით და წარედგინება დირექტორს, რომელიც მიღებულ ინფორმაციას დასამტკიცებლად წარუდგენს სამეურვეო საბჭოს.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვიზიტის პერიოდში, სკოლამ წარმოადგინა 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიში ნარატიული სახით, სადაც აღწერს თითოეული აქტივობის შესრულებას, ძლიერ და სუსტ მხარეებს. ასევე, 2025-2026 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება გასული წლის მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს ოქმი N5 08.09 2025 წელი, სადაც 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების შედეგების საფუძველზე განხილული და დამტკიცებულია 2025-2026 წლის ერთლიანი სამოქმედო გეგმა.

ინდიკატორი 1.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

მეთოდოლოგიის დოკუმენტი ითვალისწინებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ანგარიშების საჯაროობის უზრუნველყოფის მიზნით მათ განთავსებას სკოლის ვებ გვერდზე. ვიზიტის პერიოდისთვის, განხორციელებული იყო 2024-2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგი, თუმცა ანგარიში არ იყო ატვირთული სკოლის ვებ გვერდზე. სკოლამ აღნიშნული საკითხი ვიზიტის პერიოდშივე აღმოფხვრა და ანგარიში განათავსა ვებ გვერდზე. სასკოლო საზოგადოებასთან, მათ შორის, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ აქვთ ინფორმაცია სკოლის მიერ განხორციელებულ აქტივობებთან დაკავშირებით.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების/შეფასების შედეგების გამოყენებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. მონიტორინგის პერიოდში, სკოლის მიერ წარმოდგენილი და ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტაციით (გასაუბრება, დამრიგებლის პორტფოლიო, სამეურვეო საბჭოს ოქმი) დგინდება, რომ სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორი 1.2.2.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;*
- *სტრატეგიული გეგმა 2023-2030;*
- *სამოქმედო გეგმა 2025-2026;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N5 08.09.2025;*
- *სამოქმედო გეგმის ანალიზი-ანგარიში;*
- *სკოლის ვებ გვერდი:* https://bit.ly/44fYwJ4

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებულია შემდეგი პოზიციები: დირექტორი, დირექტორის მოადგილე, ბუღალტერი, საქმისმწარმოებელი, მატერიალურ ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი, ექიმი, 3 დამლაგებელი, 3 დარაჯი, 1 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი და 21 მასწავლებელი. ექსპერტებმა ვიზიტის პერიოდში შეისწავლეს მასწავლებელთა ხელშეკრულებები, რომლებიც გაფორმებულია შესაბამისი სტატუსის მიხედვით და ითვალისწინებს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინსტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნებს. დაწესებულებამ, ასევე, წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა, რომლის მიხედვითაც სკოლაში სტრუქტურული ერთეულების სახით მოქმედებს: სამეურვეო საბჭო, მრჩეველთა საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, 6 საგნობრივი ჯგუფის კათედრა, მოსწავლეთა თვითმმართველობა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლაში მოქმედი ყველა პირისა და სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები გაწერილია დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები”.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებობს დელეგირებისა და ფუნქციების განაწილების სისტემა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურული ერთეულებისა და დასაქმებული პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, სადაც პასუხისმგებლობებია გაწერილი. შექმნილია ხარისხის განვითარების შიდა მექანიზმი. აგრეთვე სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებითა და სტრუქტურული ერთეულების ოქმებით დგინდება, რომ პირები/სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ

დაკისრებული ფუნქციების შესაბამისად. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საშტატო განრიგი;*
- *"სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები". ბრძ #127 17/10/2023 და ბრძ. #139 15/12/2025.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

   სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ პერსონალის მართვა ხორციელდება საქართველოს შრომის კოდექსისა და დაწესებულების მიერ შემუშავებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად. პერსონალის მართვის მექანიზმები, აგრეთვე, ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით.

   ინდიკატორი 3.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის “სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები” თანახმად, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ უმეტესწილად, მასწავლებლის არ/ვერ გამოცხადების შემთხვევაში, ვინაიდან სკოლის დირექტორის ფუნქციას ასრულებს დირექტორის მოადგილე, მასწავლებლი თავად ანაწილებს საათებს საგნობრივ ჯგუფში შემავალ სხვა მასწავლებლებზე, უგზავნის მათ კლასში შესასრულებელ დავალებას და ამის შემდეგ აცნობებს დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს.

წარმოდგენილი დოკუმენტაცია და არსებული მექანიზმი ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი “სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები” ითვალისწინებს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურებს. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით”. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით, სკოლის მიერ დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისად. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა პერსონალს წარმოდგენილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაცია, მათ შორის, ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და აგრეთვე უფლებების ჩამორთმევის შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

ვიზიტის პერიოდში, შესწავლილი იქნა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემა (Eschool), შესწავლილი იქნა პერსონალის მონაცემები, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მხოლოდ, სკოლაში დასაქმებულ დაწყებითი კლასების 2 მასწავლებელს, რომლებთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება მიმდინარე სასწავლო წლის ბოლომდე, არ უდასტურდება მასწავლებლის კვალიფიკაცია.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლებას და შესაბამისად დადასტურებას, გეგმავს 2027 წლის სექტემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>ნაწილობრივ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - სექტემბერი, 2027),*

უზრუნველყოს სკოლის პერსონალის დაკომპლექტება კვალიფიციური კადრებით.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში შექმნილ კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების წევრები წარმომადგენლობითი პრინციპით, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის ჯგუფი, პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები. რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს.

ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესები. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადასტურდა აღნიშნული მექანიზმის ფუნქციონირება. ექსპერტები ადგილზე გაეცნენ და დაწესებულებამ მტკიცებულების სახითაც წარმოადგინა სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული ბრძანებები მასწავლებლებისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *"სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები". ბრძ #127 17/10/2023 და ბრძ. #139 15/12/2025;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება #32 მასწავლებლებზე მადლობის გამოცხადების შესახებ 05/06/2025;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *თანამშრომელთა პირადი საქმეები;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

დაწესებულების მიერ 2023 წელს შემუშავებული და ვებ გვერდზე განთავსებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტი მოიცავს პერსონალის მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასებას და პროფესიულ განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმს. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის საჭირო აქტივობები. პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები ძირითადად გამოკვეთილია ზეპირსიტყვიერად და წახალისებულია დაწესებულების მიერ. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც ახორციელებს პედაგოგთა შეფასებასა და განვითარებას მათი შესაძლებლობის ფარგლებში.

ინდიკატორი 3.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

პროცესში გამოვლენილი საჭიროებების საპასუხოდ, თანამშრომლებს მიეწოდებათ ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით დაგეგმილი ტრენინგებისა თუ ვებინარების შესახებ. თანამშრომელთა პირად საქმეებში განთავსებულია პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები. თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მასწავლებლები თავადაც მოიპოვებენ ინფორმაციას და ესწრებიან სხვადასხვა სახის ონლაინ ტრენინგებს. მიღებულ გამოცდილებას უზიარებენ კოლეგებს. სკოლის მენტორმა და წამყვანმა მასწავლებლებმა წარმოადგინეს გავლილი ტრენინგების კოლეგებისადმი გამოცდილების გაზირების მტკიცებულებები. საჭიროებიდან გამომდინარე განვლილი ტრენინგის შესაბამისი

სერტრიფიკატები წარმოადგინეს ცეცხლფარეშმა და ბუღალტერმა. აქედან გამომდინარე, სკოლა ახორციელებს პერსონალის განვითარებას, სპონტანურად, გამოვლენილი საჭიროების საფუძველზე და არა სტრუქტურირებულად, გეგმის შესაბამისად.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, სასკოლო პერსონალის პროფესიული განვითარების დაგეგმვას, აპირებს 2026 წლის დეკემბრამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს პერსონალის განვითარება სტრუქტურურებულად, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად.***

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლების მიერ მოყვანილი მაგალითები ასახავს, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას. სკოლის არსებული პრაქტიკაც იმავეს ასახავს. ბოლო ორი წლის განმავლობაში სკოლის დირექტორის ფუნქციას ასრულებდა მასწავლებელი, მონირტორინგის ვიზიტის პერიოდისთვისაც სკოლის დირექტორის მოადგილე იკავებდა დირექტორის პოზიციას. ასევე, მასწავლებელთა პროფესიულ სქემაში წინსვლის მიზნით, სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და მხარდაჭერის ჯგუფი.
ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესს, ეტაპებსა და შესაბამის პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის მითითებული თითოეული აქტივობის პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიანობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების სწრაფ ინტეგრაციას სკოლაში და ამცირებს ადაპტაციის პერიოდში წარმოქმნილი რისკების ალბათობას.
ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესის და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის თანახმად, პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისება, თანამშრომელთა მოტივირება, გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა იყენებს წახალისების შემდეგ ფორმებს: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება. მტკიცებულების სახით წარმოდგენილია სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გამოცემული ბრძანება მასწავლებლებისთვის მადლობის გამოცხადების შესახებ.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის წესი;*
- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *სკოლის დირექტორის ბრძანება მადლობის გამოცხადების შესახებ;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 სექტემბერს N93 ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, ხარისხის მართვა ეფუძნება დემინგის ციკლს და იგი შედგება შემდეგი ქვეპროცესებისაგან: ა) სკოლის პროცესებთან/კურიკულუმებთან დაკავშირებული რისკების შეფასება; ბ) პროცესების/კურიკულუმების შემოწმების წლიური სამოქმედო გეგმის შედგენა; გ) შემოწმების განხორციელება; დ) დასკვნის შედგენა და უკუკავშირი; ე) რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის განხორციელება. სკოლაში ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელია დირექტორის მოადგილე. მინიტორინგის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო გასული სასწავლო წლის ანგარიშებს სკოლაში მიმდინარე პროცესების შესაბამისად, წარდგენილს პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოსადმი.

ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა.

სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში. სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეუძლიათ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ ბორჯომის რაიონულ სასამართლოში, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

ქმედით დოკუმენტადაა ქცეული დაწესებულების მიერ 2023 წელს შემუშავებული მოსწავლის /პერსონალის /მშობლის /კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი. შინაგანაწესით გაწერილია დასაქმებულთა სამართლებრივი დაცვის ძირითადი ინსტრუმენტები, რაც უზრუნველყოფს მათი უფლებების დაცვას. შინაგანაწესის გაცნობა დადასტურებულია მხარეთა ხელმოწერით. სკოლის შინაგანაწესი, ასევე, არის მშობელსა და სკოლას შორის დადებული ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილი. უფლებების დაცვის მარეგულირებელი დოკუმენტები ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. ყოველივე ზემოთაღნიშნული ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების წევრების უფლებების დაცვას სკოლაში.

ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი - 2023;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი -ბრძ.#93. 13/09/2023;*
- *მოსწავლის/პერსონალის/მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი - 2023;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციების აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც ადმინისტრაციული, პედაგოგიური და დამხმარე თანამდებობების სპეციფიკის გათვალისწინებით შემუშავებულია შესაბამისი სამუშაო აღწერილობა. აღნიშნულ დოკუმენტებში გაწერილი რეგულაციები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და, ასევე, განსაზღვრავს დაწესებულების მისიის შესაბამისი საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისათვის საჭირო პერსონალის მოზიდვის, შერჩევის, ინტეგრაციისა და განვითარების პრინციპებს. დაწესებულებაში დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია ხელშეკრულება, რომელიც მოიცავს ხელშეკრულებისათვის არსებით პირობებს და დასაქმებულის ფუნქცია-მოვალეობებს, რომლის ხელის მოწერითაც პირი ადასტურებს თავის თანხმობას და იმ პასუხისმგებლობის თავის თავზე აღებას, რაც შესაბამისი სამუშაო აღწერილობით მისი თანამდებობისთვის არის გათვალისწინებული. სკოლის თანამშრომლების მართვა ხორციელდება კანონმდებლობის შესაბამისად: საქართველოს შრომის კოდექსით აღიარებული უფლებებისა და რეგულაციების დაცვით, მასწავლებლის/სპეციალური მასწავლებლის შერჩევის, ხელშეკრულების დადებისა და გაწყვეტის დროს სკოლა ხელმძღვანელობს ,,მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანების, ,,ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების,

აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2018 წლის 21 თებერვლის N16/ნ ბრძანების და სხვა მოთხოვნათა გათვალისწინებით. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები რეგულირდება თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობებისა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით, სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებისა და შინაგანაწესის მიხედვით და მოიცავს ინფორმაციას დასაქმებულთა სამუშაო პირობების, შრომის ანაზღაურების, წახალისების/ დისციპლინური დევნისა და სხვა საკითხების შესახებ.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2.უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

დაწესებულებაში ვიზიტისას წარმოდგენილი მტკიცებულებები და ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მიღებული ინფორმაცია ადასტურებს, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების (მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მშობლების) მონაწილეობა სასკოლო ცხოვრებასა და მართვის კოლეგიალურ ორგანოებში. სამეურვეო საბჭოს საქმიანობა დადასტურებულია შესაბამისი სხდომების ოქმებით. წარმოდგენილია მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ჩატარებული შეხვედრების ოქმები. მოსწავლეთა თვითმმართველობის წევრები წარგზავნილნი არიან სამეურვეო საბჭოში და დისციპლინურ კომიტეტში.

ინდიკატორი 3.3.2.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *"სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულები და ფუნქციები". ბრძ #127 17/10/2023 და ბრძ. #139 15/12/2025;*
- *შრომითი ხელშეკრულებები;*

- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 სასწავლო კორპუსი და საქვაბე. სკოლას ჰყავს 3 დარაჯი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლზე სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის მთელი პერიმეტრი

დაცულია, ტერიტორია გარშემორტყულია ღობით. სკოლის შენობაში, ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი.

პირველადი ავტორიზაციის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. აღნიშნული დასკვნა, სკოლას ასევე, არ წარმოუდგენია მონიტორინგის ვიზიტისთვის.

პირველადი ავტორიზაციის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა მიმართვა აკრედიტირებული ორგანოსადმი შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. . აღნიშნული მიმართვა სკოლას არ წარმოუდგენია არც მონიტორინგის ეტაპისთვის. დაწესებულებამ წარმოადგინა წერილი ქალაქ ბორჯომის საგანამათლებლო რესურსცენტრისადმი, სადაც ითხოვს დაფინანსებას სახანძრო უსაფრთხოების სისტემების დამონტაჟების თაობაზე. როგორც დაწესეულებამ განმარტა, აღნიშნულ წერილს არ მოჰყოლია რეაგირება, რადგან სკოლა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას.

პირველადი ავტორიზაციის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. მონიტორინგის ეტაპისთვის სკოლამ წარმოადგინა, 2023 წლის 14 ნოემბრის, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საგანგებო სიტუაციები მართვის სამსახურის წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმების შესახებ.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. სკოლას მიეცა **რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.

სკოლის შენობა არ არის რეაბილიტირებული, სახურავიდან ჟონავს წყალი, ჭერის ბეტონის ფილები დაშორებულია, ცვივა ბათქაში, კედლები ობის სოკოთია დაფარული. სკოლის სასწავლო სივრცეებში არსებული ხის იატაკი არის ფიზიკურად დაძველებული და დაზიანებული. იატაკის ელემენტებს შორის ფიქსირდება დაშორებები და არათანაბარი ზედაპირი. ყოველივე ზემოთაღნიშნული ქმნის მოსწავლეთა ფიზიკური უსაფრთხოების რისკებს.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა მის მიერ წარმოებული კორესპოდენცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვებას, ასევე, სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების მიზნით შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვას, გეგმავს 2026 წლის დეკემბრამდე, 12 თვის პერიოდში. ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2026),* ***უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის მდგრადობისა და სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნების მოპოვება.***

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

ავტორიზაციის ვიზიტის ეტაპზე სკოლაში მოქმედებდა სამედიცინო კაბინეტი, რომელიც უზრუნველყოფილი იყო პირველადი დახმარებისთვის საჭირო ინვენტარითა და მედიკამენტებით, სკოლის ექიმი, აყვანილი იყო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. მისი კვალიფიკაცია კი, კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლამ, ვიზიტის დღეს წარმოადგინა სკოლის დირექტორის #140 ბრძანებით დამტკიცებული სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი.

ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სასწავლო დროს დაწესებულების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მასწავლებლები, კლასების დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. სკოლას ჰყავს მანდატური. სკოლის შენობა აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო სისტემებით.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის ადმინისტრაციასთან, მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მოსწავლეები ბედნიერები არიან სკოლაში, რაც ზრდის მათ მოტივაციას, ჩართულობას და უსაფრთხოების განცდას სასკოლო სივრცეში. დამრიგებლები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, მუშაობენ მოსწავლეებთან და განიხილავენ თემებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, თანამშრომლობითი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო მნიშვნელოვნად შესამჩნევი იყო სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვისაც.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლა ახორციელებს ჰიგიენური საშუალებების შეძენას, ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა. სკოლაში დასაქმებულია 3 დამლაგებელი. სველ წერტილებში უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი

პირობები. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში, თითოეულ სართულზე განთავსებულია 3 სველი წერტილი, შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 1 ინდივიდუალური სველი წერტილი პერსონალისთვის. ვინაიდან დაბა ახალდაბას არ მიეწოდება სასმელად ვარგისი წყალი, არც სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. მოსახლეობა სარგებლობს ადგილობრივი წყაროების წყლით და მშობლები, თავად უზრუნველყოფენ მოსწავლეებისთვის სასმელი წყლის მიწოდებას/თან გამოტანებას.

სკოლას მიეცა რჩევა, სკოლის დერეფანში განათავსოს წყლის დისპენსერი, რათა ფორსმაჟორულ სიტუაციაში უზრუნველყოფილი იყოს მოსწავლეებისთვის სასმელი წყლის მიწოდება.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლას, 2025 წლის 21 მარტის #37 ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. სკოლა, ყოველი აქტივობის დაგეგმვის წინ, იღებს თანხმობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან კონკრეტული პერსონალური მონაცემების, კერძოდ, ფოტო -ვიდეო გადაღებისა და მათი ინტერნეტ სივრცეში განთავსების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. დაწესებულება, ასევე იცავს ელექტრონულ ინფორმაციას არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოებამ (მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები) დაადასტურეს სკოლაში არსებული უსაფრთხო გარემოს არსებობა. სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო. წარმოდგენილია სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმები.

ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილი #12302401527; 17.08.2023წ;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *სკოლის ბიუჯეტი;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი #1 10/04/2025;*
- *მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 21/05/2025;*
- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ახალდაბის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ერთ მისამართზე, ერთ შენობაში. სასწავლო შენობა მდებარეობს დაბა ახალდაბაში 10581 კვ. მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული შენობა (3200 კვ.მ.) სამსართულიანია. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს საქვაბე და ეგრეთ წოდებული მასწავლებლის საცხოვრებელი სახლი (102 კვ.მ.), რომელიც დალუქულია და არ გამოიყენება სასწავლო მიზნებისთვის. შენობები სახელმწიფოს საკუთრებაა და სკოლა ფიქსირდება, როგორც მოსარგებლე. ობიექტის საკადასტრო კოდია № 64.21.02.001. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში "ამონაწერი საჯარო რეესტრიდან" სკოლის მიერ აღნიშნული ტერიტორიისა და შენობების სარგებლობაში ქონის იდენტიფიკაცია შესაძლებელია დაბის სახელწოდებითა და სკოლის საიდენტიფიკაციო კოდით. ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის მისამართი საჯარო რეესტრში მითითებულია როგორც „რაიონი - ბორჯომი, დაბა - ახალდაბა, ქუჩა - დავით აღმაშენებელი", თუმცა ფაქტობრივი დათვალიერების შედეგად გამოვლინდა, რომ სკოლის შენობა მდებარეობს სხვა სახელწოდების ქუჩაზე. **სკოლას მიეცა რჩევა, მიმართოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და უზრუნველყოს სკოლის სახელწოდების დაზუსტება/განახლება საჯარო რეესტრის ამონაწერში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებით განსაზღვრული საჯარო სკოლის სახელწოდებისა და ზუსტი მისამართის გათვალისწინებით**.

სკოლა ახორციელებს სასწავლო პროცესს ერთცვლიან რეჟიმში. სკოლის შენობა არ არის რეაბილიტირებული. შენობაში არსებობს თავისუფალი სივრცეები, რომლებიც პოტენციურად შეიძლება გამოყენებულ იქნეს საბუნებისმეტყველო

ლაბორატორიების მოსაწყობად, თუმცა აღნიშნული სივრცეები არ იყო კეთილმოწყობილი და სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებლად ვარგისი. ამასთან, სასწავლო პროცესი ხორციელდება შედარებით კეთილმოწყობილ, ბუნებრივი განათებისა და ვენტილაციის მქონე სასწავლო ოთახებში. თითოეულ კლასში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და შესაბამისი სასწავლო ინვენტარი, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვას. სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი, რომლის მიმდებარედ მოწყობილია გასახდელი და საშხაპე ოთახები, თუმცა აღნიშნული ინფრასტრუქტურა არ ფუნქციონირეებს. სკოლის ეზოში მოწყობილია კალათბურთის მოედანი. სპორტული ინვენტარი ინახება ცალკე, განსაზღვრულ სათავსოში. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა (საცავი და სამკითხველო დარბაზი), კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი, რესურს ოთახი, სამასწავლებლო, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისათვის განკუთვნილი სამუშაო ოთახები, რაც უზრუნველყოფს სასწავლო და მხარდამჭერი პროცესების განხორციელებას.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის. კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სხვა საერთო სივრცეები: სამასწავლებლო, სკოლის დერეფნები, ეზო, სპორტული მოედანი არაკეთილმოწყობილია, თუმცა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის მესამე სართულზე. ბიბლიოთეკაში მოწყობილია საცავი და სამკითხველო ოთახები. სკოლის წიგნადი ფონდი შეადგენს როგორც მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას, ასევე გრიფირებულ სახელმძრვანელოებს. მონიტორინგის ვიზიტამდე პერიოდში სკოლას კურსდამთავრებულის მიერ, საჩუქრად გადაეცა 117 წიგნი - მხატვრული ლიტერატურა. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღრიცხულია როგორც

ელექტრონულად, ისე საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლას აქვს რესურს ოთახი და გარე პანდუსი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია შენობის პირველ სართულზე მოხვედრა. შიდა სასკოლო გარემო არ არის ადაპტირებული ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის. არ არის პანდუსი ან ლიფტი, რომლის საშუალებითაც ხელმისაწვდომი გახდება ყველა სივრცე. დაწესებულებაში არ არის მოწყობილი ადაპტირებული სველი წერტილი.

დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად ხარვეზის გამოსწორებას, სკოლის ინკლუზიური გარემოს უზრუნველყოფას, გეგმავს 2027 წლის დეკემბრამდე. ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>ნაწილობრივ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, *შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (დეკემბერი, 2025 - დეკემბერი, 2027),* ***უზრუნველყოს სწავლის ინკლუზიური გარემოს შექმნა, ადაპტირებული სველი წერტილისა და შიდა ლიფტის ან პანდუსის მოწყობა.***

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს შესაძლებლობას, რომ იგი ჩამოყალიბდეს სოციო-კულტურულ სივრცედ. სკოლას აქვს დაცული ეზო. სკოლის სპორტული და სააქტო დარბაზები შედარებით კეთილმოწყობილია და სკოლა აქტიურად იყენებს მათ სხვადასხვა ღონისძიებებისთვის. სკოლაში შექმნილი კლუბებისთვის გამოყოფილია ცალკე ოთახები. სკოლას აქვს მუსიკის ოთახი, სადაც განთავსებულია პიანინო და სხვა მუსიკალური ინსტრუმენტები. აღნიშნული გარემო ხელს უწყობს მოსწავლეებში ინდივიდუალური, ესთეტიკური და სოციალური უნარების გაუმჯობესებაში.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტიდან;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *კომპიუტერული კლასით სარგებლობის წესი.*

შეფასება:
◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
◦ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☒ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულების სივრცეები (დირექტორის კაბინეტი, საქმისწარმოების ოთახი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, ექიმის კაბინეტი, კომპიუტერული კლასი) უზრუნველყოფილია პერსონალური თუ პორტატული კომპიუტერებით. დაწესებულებას გააჩნია

რამდენიმე პრინტერი და პროექტორი. სკოლა თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ინოვაციურ მიდგომებს იყენებს სასწავლო პროცესის გამრავალფეროვნებისა და მოსწავლეთა მოტივაციის ასამაღლებლად, ასევე, სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაციის გასამარტივებლად. მონიტორინგის შედეგად დადასტურდა, რომ სკოლამ მნიშვნელოვნად განაახლა და გაამლიერა ტექნიკური საბაზო რესურსი. კერძოდ, მოიპოვა დამატებით 22 ერთეული პორტატული კომპიუტერი.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და მასწავლებლებისათვის. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს, გამოკრულია კომპიუტერულ კლასში.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *ინვენტარიზაციის აქტი;*
- *მიღება-ჩაბარება აქტები.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

მონიტორინგის ვიზიტამდე დაწესებულებამ წარმოადგინა საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას. აღნიშნული დოკუმენტი არ ითვალისწინებდა ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, რომელიც მოცემულობაა სკოლისთვის. კერძოდ, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow, eschool, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი). აღნიშნული მიდგომა გაზიარებული იქნა სკოლისთვის დღის ბოლოს ექსპერტების მიერ. შედეგად, სკოლამ ცვლილება შეიტანა წარმოდგენილ საქმისწარმოების წესში და წარმოადგინა განახლებული ვერსია. სკოლაში დაცულია საქმისწარმოების წესით განსაზღვრული რეგისტრაციის ჟურნალები.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow, ელექტრონული ფოსტა borAkhaldaba@mes.gov.ge) იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. eSchool-ის ბაზაში ხდება მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პირადი ინფორმაციის ასახვა. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებულია ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვა.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის. სკოლა, დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად, ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლა, საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის

საფუძველზე, მიმართავს ზემდგომ ორგანოებს, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების მეთოდოლოგიური წესი გრძ #49. 07/09/2023 და გრძ #141 15/12/2025;*
- *სკოლის ვებ გვერდი:* https://bit.ly/44fYwJ4

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (skolebi.emis.ge). სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია.

ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023 წელს გამოცემული ბრძანება ვებ გვერდზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ფუნქცია პირს მინიჭებული აქვს პერსონალის მართვის სისტემაშიც (eSchool.ge). სკოლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.

ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხაისხის გასაუმჯობესებლად**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია მშობელთა დღე- პარასკევი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მშობლებს შეუძლიათ მასწავლებელთან შეხვედრა და გასაუბრება. პრობლემის არსებობის შემთხვევაში, პირველ რიგში, უკავშირდებიან სკოლის დირექტორს. კომუნიკაციის მიზნებისთვის სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელს. უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია, სკოლის შესაძლებლობის ფარგლებში, გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge. ვებ გვერდზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა, სამოქმედო გეგმა. ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა და მითითებულია საგანმანათლებლო სტატუსი; ასევე, პროგრამების სახელწოდებები, ჩარიცხვის პროცედურები; შინაგანაწესი, ადაპტაციის წესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის, კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმი და სხვა. ავტორიზაციის ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის ვებ გვერდზე არ იყო ხელმისაწვდომი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაცია. აღნიშნული ხარვეზის შესახებ სკოლის ადმინისტრაციას მიეწოდა ინფორმაცია ავტორიზაციის ვიზიტის პირველი სამუშაო დღის შეჯამებისას, რის შემდგომაც სკოლამ ვიზიტის დასრულებამდე უზრუნველყო ვებ გვერდზე ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშისა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად მისანიჭებელი კვალიფიკაციის შესახებ ინფორმაციის განთავსება.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი:* https://bit.ly/44fYwJ4

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის დაფინანსების წყაროა „ზოგადი განათლების დასაფინანსებლად ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივისა და მისი შესაბამისი სტანდარტული ვაუჩერის ოდენობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბრის №476 დადგენილებით გათვალისწინებული ერთ მოსწავლეზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისისტანდარტული ვაუჩერი, ასევე ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლეთა დაფინანსება და მასწავლებლების კუთვნილი დანამატის სახით მიღებული თანხები. ყოველი კალენდარული წლის დაწყებამდე სკოლაში მუშავდება საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც საბოლოო სახით განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. წლის განმავლობაში, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური დინამიკის შესაბამისად, ბიუჯეტში შეტანილი ცვლილებები ასევე განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო ბიუჯეტით უზრუნველყოფილია სკოლის სამოქმედო გეგმის განხორციელება.

ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულება შესყიდვება ახორციელება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის მიხედვით, ფინანსური რესურსები მიზნობრივად და ეფექტიანად ნაწილდება როგორც სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის, ისე სხვა საჭიროებების (კომუნალური, საოფისე და მივლინების ხარჯები) უზრუნველსაყოფად. სკოლა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას ტვვირთავს **Eplan** მოდულში. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვების წლიური გეგმა კორექტირდება კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ყოველწლიურად განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ფინანსური წლის დასრულებისას

მზადდება დეტალური ანგარიში, რომელსაც სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის სისტემა.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *შესყიდვების გეგმა;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა შინაგანაწესი მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები და ის საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა უფლებების დაცვას ეხება. მაგალითად, დოკუმენტში გაწერილია ისეთი მოვალეობები როგორიცაა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დისკრიმინაციისგან დაცვა, განათლების მიღება, სკოლის მართვაში მონაწილეობა, გასაჩივრების უფლება და სხვ.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ კლასის დამრიგებლები. სკოლის დირექციამ, კლასის დამრიგებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა აღნიშნული დაადასტურეს სკოლაში ვიზიტის დროს გასაუბრებისას. აღნიშნული ასევე დასტურდება დამრიგებლის პორტფოლიოთი. ვიზიტის პერიოდში სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი განთავსებული იყო სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას. შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსებულია ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები. ხელშეკრულებაში ასახულია მხარეთა უფლება-მოვალეობები, სწავლების პირობები. აღნიშნული დოკუმენტი არის გამჭვირვალე და მკაფიო ფორმით შედგენილი, რაც ამცირებს გაურკვევლობისა და უთანხმოების რისკებს. გაფორმებული ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისი,

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა უფლებების დაცვის დოკუმენტი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *დამრიგებლის პორტფოლიო;*
- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/44fYwJ4

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. სკოლაში დაცულია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის კანონმდებლობით განსაზღვრული წესები, რომლებიც მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისია.

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებული

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა სკოლაში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით,

შეიძლება ითქვას, რომ სკოლას იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის არსებულ, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამის წესებს.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით. აქტიურად მიმდინარეობს კლუბური და პროექტული საქმიანობა, სადაც მოსწავლეები მონაწილეიბენ საკუთარი სურვილის და ინტერესების შესაბამისად. სკოლაში მოქმედებს სამოქალაქო განათლების კლუბი - ,,ლაბირინთი“ და ეკო კლუბი.

ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმირებას როგორც ძირითადი სასწავლო, ასევე დამატებითი (არაფორმალური) საგანმანათლებლო საქმიანობის შესახებ. სკოლას აქვს ინფორმაციის გაზიარების სხვადასხვა მექანიზმი: ვებ გვერდი, ფეისბუქ გვერდი, ელექტრონული ჟურნალი და სხვა. აღნიშნული დასტურდება გასაუბრებითაც. ყველა მნიშვნელოვანი საკითხი განთავსებულია საინფორმაციო დაფაზე და საჭიროების შემთხვევაში - სკოლის ადმინისტრაციის საშუალებით უზრუნველყოფილია გამჭვირვალობა და დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა.

ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი;*

- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/44fYwJ4

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N32, 2024 წლის 2 მაისი. მასში გაწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაციისთვის საჭირო წესები, დოკუმენტი მიზნად ისახავს მოსწავლის მხარდაჭერასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაუმჯობესების მექანიზმებს.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

სკოლის დირექტორის, დამრიგებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმაციით, სკოლა დამრიგებლების დახმარებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ადაპტაციის ხელშესაწყობად ატარებენ სადამრიგებლო საათებს შესაბამის თემებზე, წინასწარ შეისწავლიან მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებს, ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს და სხვ. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო პროცესში და უსაფრთხო ემოციური და სოციალური გარემოს შექმნას. აღნიშნული დასტურდება ახალგადმოსულ მოსწავლესთან გასაუბრებითაც.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის სათანადო და სისტემურ მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების მიზნით. მხარდაჭერის პროცესი მოიცავს როგორც ინდივიდუალურ, ისე ჯგუფურ მიდგომებს და ხორციელდება საგნის მასწავლებლებისა და კლასის დამრიგებლის თანამშრომლობით. მოსწავლეებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ მათთვის ხელმისაწვდომია სხვადასხვა ტიპის აკადემიური დახმარება, მათ შორის: მასწავლებლების კონსულტაციები რთული თემების განმტკიცებისა და სასწავლო მასალის უკეთ გააზრების მიზნით, სასწავლო რესურსებზე წვდომა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) მქონე მოსწავლეთა მხარდაჭერა, ინდივიდუალური ვადებისა და მეთოდების გათვალისწინებით. სკოლა რეგულარულად ახორციელებს მოსწავლის აკადემიური მოსწრების ანალიზს და პროგრესის შეფასებას, მშობლებთან კომუნიკაციასა და შედეგების გაზიარებას, რაც უზრუნველყოფს დროულ განახლებას, ერთობლივ დაგეგმვასა და სწავლების პროცესში მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობების მაქსიმალურ გათვალისწინებას. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან თანამშრომლობით.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლისთვის კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული მომსახურების კანონით დადგენილ ვადებში მიწოდებას. ადმინისტრაციული მხარდაჭერა მოიცავს: დოკუმენტაციის მომზადებას (ჩარიცხვა, გადაყვანა, სტატუსის შეჩერება/აღდგენა, მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული სხვა სამართლებრივი პროცედურები); მშობლისა და მოსწავლის ინფორმირებას მათი

უფლებების, პროცედურების და ვადების შესახებ; სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერისთვის საჭირო პროცედურების უზრუნველყოფას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის დამტკიცებისა და სხვა აქტივობებს.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლაში ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში გარკვეული პერიოდულობით იმართება სხვადასხვა ღონისძიება. ინტერვიუების დროს მშობლებმა, მოსწავლეებმა გაიხსენეს შემდეგი ღონისძიებები; კუტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტი - სტუმრობა ფოთოლეთის მონასტერში, შემეცნებითი ვიზიტები - სტუმრობა ახალციხის ,,ემერიკულ კუთხეში", თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის მუზეუმში, ზესტაფონის პროფესიულ სასწავლებელში, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტსა და საერთაშორისო უნივერსიტეტში, გაზაფხულის ღონისძიება, მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენა, დაუნის სინდრომის დღესიდამი მიძღვნილი აქტივობა და სხვ. მოსწავლეებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ აქვთ საშუალება საკუთარი ინიციატივები გამოხატონ როგორც მასწავლებლებთან, ასევე თვითმმართველობასთან და სკოლის დირექტორთან. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ასევე, დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია აქტიურად თანამშრომლობს სამოქალაქო განათლების კლუბთან ,,ლაბირინთი". კლუბის პროექტის - ,,სუფთა გარემოზე ზრუნვა ყველა ადამიანის ვალია" სკოლის ადმინისტრაციამ გაითვალისწინა მათი ინიციატივა და უზრუნველყო მოსწავლეების შეხვედრა ადგილობრივ თვითმმართველობასთან და ბორჯომის მერთან. მათი ინიციატივა დაბაში დამატებითი ურნებისა და ერთერთი ქუჩის განათების შესახებ იქნა მხარდაჭერილი და წარმატებით განხორციელებული. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ,,სამცხე-ჯავახეთის სათემო განვითარების ცენტრთან", სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეების აქტიურ ჩართულობას ამ ორგანიზაციის პროექტებში. ნოემბერში ჩატარდა „ახალდაბის ახალგაზრდული მულტიფუნქციური ცენტრისა" და მედიაკაფე „ლუტრეზის" საშემოდგომო გამოფენა და მასტერკლასი, სადაც წარმოდგენილი იყო ახალდაბის საჯარო სკოლის მოსწავლეების ნამუშევრები თექაზე. პროექტის მხრდამჭერი იყო ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია და ადგილობრივი თვითმმართველობა მოსწავლეთა ინიციატივით, სამოქალაქო განათლებისა და ქართული ენის მასწავლებლების დახმარებით სკოლაში დაიგეგმა აქტივობები ქალთა ძალადობის წინააღნდეგ. დაგეგმილ ღონისძიების ფარგლებში სკოლაში ჩატარდა: ,,ნარინჯისფერი კვირეული". მოსწავლეებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი,

დაამზადეს და დაარიგეს ფლაერები, მონაწილეობა მიიღეს დისკუსიაში. სკოლა მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებას უზრუნველყოფს მატერიალური ფორმით; სიგელებით. სასკოლო და საკლასო სივრცეში გამოფენილი ნამუშევრებით.
ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლაში ვიზიტის დროს, ინტერვიუსას მშობლებმა და მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას, თუმცა აღნიშნული არ ხდება სტრუქტურებული ფორმით. შესაბამისად, **სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის მიღება სტრუქტურირებული ფორმით, მაგალითად კითხვარი ან/და ინტერვიუ/ფოკუსჯგუფი და სხვა.**
ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის 2024 წლის 2 მაისი N32 ბრძანებით დამტკიცებულია მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*
- *მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმი;*
- *კლუბების წესდება, სამოქმედო გეგმა, განხორციელებული აქტივობები;*
- *მემორანდუმი ,,სამცხე-ჯავახეთის სათემო განვითარების ცენტრსა" (ს.კ. 426119657) და სკოლას შორის;*
- *ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ანგარიშები;*
- *ისგ ჯგუფების შექმნის ბრძანებები;*
- *სკოლის ვებ გვერდი https://bit.ly/44fYwJ4*
- *სკოლის სოციალური გვერდი.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მრავალფეროვან და ხელმისაწვდომ მომსახურებას, რომელიც უზრუნველყოფს მათ მომავალი სწავლების, პროფესიის არჩევისა და დასაქმების მიმართულებით ინფორმირებულ გადაწყვეტილებებს. სკოლა თანამშრომლობს ფონდ ,,ტასოსთან", ფონდის დახმარებით სკოლის IX-XII კლასის მოსწავლეებს ჩაუტარდათ ტრენინგი პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით. მოსწავლეები იმყოფებოდნენ ტექნიკური უნივერსიტეტის გეოლოგიის მუზეუმში, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტში და ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტში. ვიზიტისას გავესუბრეთ დამრიგებელს, დავათვალიერეთ დამრიგებლის პორტფოლიოში ვნახეთ სადამრიგებლო პროგრამა აღნიშნული საკითხების გათვალისწინებით. გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ,,სამცხე-ჯავახეთის სათემო განვითარების ცენტრთან" (ს.კ. 426119657). მემორანდუმის მიზანია სამოქალაქო აქტივიზმის გაზრდისა და ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მისაღწევად ქმედითი ურთიერთანამშრომლობა, რესურსებისა და გამოცდილების გაზიარება, ცვალებად საგანმანათლებლო გარემოსთან, ინოვაციურ მიდგომებსა და განვითარებად ტექნოლოგიებთან მორგება. თანამშრომლობის საგანია: ახალგაზრდების პროფესიული ორიენტაცია და კარიერული განვითარება, სხვადასხვა საგანმანათლებლო კურსები, კომპიუტერული პროგრამები გიდის უნარ-ჩვევები, მოზარდი გოგონების სამოქალაქო გააქტიურება და ცნობიერების ამაღლება.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეების და მათი კანონიერ წარმომადგენლების მუდმივ ინფორმირებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი საგანმანათლებლო და კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. ინფორმირება ხორციელდება მშობლებთან შეხვედრებით გონივრულ ვადებში, სანდო და გადამოწმებული წყაროების საფუძველზე და მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციას. აღნიშნული დასტურდება სკოლის ვებ გვერდით, გვერდით სოციალურ ქსელში, მშობლებთან და მასწავლებლებთან გაასაუბრებით.

ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა აწყობს შეხვედრებს მშობლებთან მოსაზრებების გასაზიარებლად, ეცნობა მათ მოსაზრებებს, წინადადებებს და ითვალისწინებს მათ სამუშაო პროცესში.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/44fYwJ4
- *სკოლის სოციალური გვერდი;*
- *დამრიგებლის პორტფოლიო;*
- *სადამრიგებლო პროგრამა და დამრიგებლის ანგარიში.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლესთან მუშაობის ერთიანი მექანიზმი, რომელიც არეგულირებს სსსმ მოსწავლეთა იდენტიფიცირების, შეფასების, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (ისგ) შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებს. მექანიზმი განსაზღვრავს პასუხისმგებელ პირებს, თანამშრომლობის ფორმებსა და მოქმედების ეტაპებს და უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას სასწავლო წლის განმავლობაში. სსსმ მოსწავლესთან მუშაობა ეფუძნება მოსწავლის საუკეთესო ინტერესების დაცვას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებსა და მოქმედ კანონმდებლობას.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერას სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობისა და თანამშრომლობის საფუძველზე. პროცესში მონაწილეობენ საგნის მასწავლებლები, სპეციალური მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, სკოლის ადმინისტრაცია და მოსწავლის კანონიერი წარმომადგენელი. მხარეებს შორის უზრუნველყოფილია რეგულარული კომუნიკაცია, ერთობლივი დაგეგმვა და მიღწევების პერიოდული განხილვა, რაც ხელს უწყობს სწავლების სტრატეგიების ეფექტიან შერჩევასა და საჭიროების შემთხვევაში მათი კორექტირებას. თანამშრომლობითი მიდგომა უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის აკადემიურ, სოციალურ და ემოციურ განვითარებას და მის სრულფასოვან ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში. აღნიშნული დასტურდება სპეციალურ მასწავლებელთან გასაუბრებით, საქაღალდის დათვალიერებით, ანგარიშებით.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო რესურსების მიწოდების რეგულაცია;*
- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 წელი;*
- *სპეციალური მასწავლებლის პორტოლიო;*
- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/44fYwJ4

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. ვინაიდან, სკოლა მდებარეობს საკმაოდ დიდ და მრავალრიცხოვან თემში, **მიეცა რჩევა, მოსწავლეებს შესთავაზოს ტრანსპორტით მომსახურეობა ,,საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის'' პროგრამის ფარგლებში.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა 2025-2026 სასწავლო წელი.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

.....

.....

.....

თარიღი: 29.01.2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: